ონომასიოლოგია, ონომატოლოგია, ონომასტიკა (ტერმინების დაზუსტებისათვის)

თემურ ავალიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: temur.avaliani@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0003-0941-4752

აბსტრაქტი. არცერთი დარგობრივი ტერმინოლოგია არ არის დაზღვეული ხარვეზებისგან. ანალოგიური სიტუაციაა ონომასიოლოგიაშიც, სადაც ერთმანეთში აღრეულია ისეთი ფუძემდებლური ტერმინებიც კი, როგორებიცაა **„ონომასიოლოგია“, ონომატოლოგია, ონომასტიკა“** და სხვა. უფრო მეტიც, არც ქართულ და არც უცხოურ სამეცნიერო სივრცეში დღემდე არ არსებობს **„ონომასიოლოგიურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“.** არის მხოლოდ **„ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონები“,** რომლებში განმარტებული ტერმინთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედაც რომ ზოგადად ონომასიოლოგიურია და არა კონკრეტულად ონომასტიკური. დღეს არავისთვის საკამათო აღარაა ის, რომ „ონომასიოლოგია“ და „ონომასტიკა“ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ლინგვისტური დარგებია. შესაბამისად წინამდებარე ნაშრომში არსებული ვითარების ანალიზის საფუძველზე დასმულია საკითხი „ქართულ ონომასიოლოგიურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ შედგენის და მისი „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონებისგან“ გამიჯვნის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ონომასიოლოგია, ონომასტიკა, ონომასიოლოგიური ლექსიკონი, ონომასტიკური ლექსიკონი, ნომინაცია, ონიმი.

***

შესავალი. მეცნიერების ნებისმიერი დარგის ფორმირება, როგორც წესი, უკავშირდება საკუთარი ცნებითი აპარატის და ტერმინოლოგიური ბაზის შექმნას, თუმცა ვერცერთი დარგობრივი ტერმინოლოგია ვერ აღწევს თავს ხარვეზებს. ასეა ონომასიოლოგიური ტერმინოლოგიის შემთხვევაშიც, რის შესახებაც **ოლგა ბლინოვა** ჯერ კიდევ 1972 წელს წერდა: „სამწუხაროდ, უამრავი ონომასიოლოგიური ცნება და მათი შესაბამისი ტერმინია განსასაზღვრი და დასაზუსტებელი (Блинова, 1972: 98). სიტუაცია დიდად არ შეცვლილა ამ მოსაზრების გამოთქმიდან ათეულობით წლის შემდეგაც: „მიუხედავად იმისა, რომ ნომინაციის თეორიამ და მისმა შემსწავლელმა დარგმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ, მისი მეტაენის პრობლემა დღემდე აქტუალური და მოუგვარებელია“ (Ягафарова, 2010: 172). ეს ნათლად ჩანს ამ დარგის ფუძემდებლური ტერმინების - **„ონომასიოლოგია“, ონომატოლოგია, ონომასტიკა“** - მაგალითზე. მათი დეფინიციების თუნდაც ზედაპირული შედარებითი ანალიზიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ აღრეულია ერთმანეთში ამ დარგის ძალიან ბევრი ტერმინი.

მეთოდები. კვლევა ეფუძნება აღწერით, შედარებით, ტერმინოლოგიური ანალიზის, დეფინიციური ანალიზისა და **კონცეპტუალური ანალიზის** მეთოდებს. **აღწერითი მეთოდის** გამოყენებით

განხილულია ტერმინები „ონომასიოლოგია“, „ონომატოლოგია“ და „ონომასტიკა“ თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში. **შედარებითი მეთოდის** საფუძველზე გამოვლენილია აღნიშნულ ტერმინთა მსგავსება და განსხვავება. **დეფინიციური და ტერმინოლოგიური ანალიზის** საშუალებით დაზუსტებულია მათი შინაარსობრივი მოცულობა და ფუნქციური საზღვრები. კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულია **კონცეპტუალური ანალიზი,** რომელმაც შესაძლებელი გახადა განსახილველ ცნებათა ურთიერთმიმართების დადგენა

მსჯელობა. რა არის ონომასიოლოგია (ბერძნ. onoma – სახელი და logos – მოძღვრება)? ეს არის „მეცნიერება **აპელატიური და ონიმური** აღნიშვნისა და **სახელდების /ნომინაციის/** შესახებ“ (ცხადაია, 1988; Подольская, 1988).

რა არის ონომასტიკა (ბერძ. onomastikē tēchnē – სახელდების ხელოვნება; ὀνομαστικός — "სახელწოდებასთან დაკავშირებული“)? ეს არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის **ყოველგვარ საკუთარ სახელს.** ონომასტიკის ქვედარგებია: ანთროპონიმიკა, ტოპონიმიკა, ზოონიმიკა, ეთნონიმიკა, კოსმონიმიკა, თეონიმიკა და სხვა (ქეე, 2008).

ერთი სიტყვით, განმარტებების მიხედვით ლინგვისტური დარგები *ონომასიოლოგია* და *ონომასტიკა* მკაფიოდ არის გამიჯნული ერთმანეთისგან: ონომასიოლოგია არის მეცნიერება ზოგადად სახელდების შესახებ, ხოლო ონომასტიკა - მეცნიერება საკუთარ სახელთა შესახებ (Доржиева, Щербакова. 2019). პრობლემებს ვაწყდებით მაშინ, როგორც კი ვიწყებთ **„ონომასიოლოგიურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“** ძიებას. საქმე ისაა, რომ მის ნაცვლად თითქმის ყველგან, როგორც ქართულ, ისე უცხოურ (მათ შორის თანამედროვე და საბჭოთა პერიოდის რუსულ) ლინგვისტიკაში გვხვდება **„ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონები“** (როგორებიცაა, მაგ.: ცხადაია, 1988; Подольская, 1988 და სხვ.). ამავე დროს, მათში მოცემული ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი ზოგადად ონომასიოლოგიურია და არა კონკრეტულად ონომასტიკური, რასაც ხაზგასმით აღნიშნავს ერთ-ერთი ასეთი ლექსიკონის ავტორიც: „ონომასტიკაში ორი ძირითადი ტერმინოლოგიური პლასტი გამოიყოფა: 1. საკუთრივ ონომასტიკური ტერმინები, შექმნილი ონომასტთა მიერ და 2. მონათესავე დისციპლინებიდან ნასესხები ტერმინები. ასეთი (**ენათმეცნიერების სხვა დარგები,** არქეოლოგია, ისტორია, გეოგრაფია და სხვა). მაშასადამე, ონომასტიკურ ტერმინთა მნიშენელოვანი ნაწილი დისციპლინათშორისი ტერმინებია“ (ცხადაია, 1988: 7). უშუალოდ ონომასიოლოგიურია, მაგალითად, ამ ლექსიკონში განმარტებული უამრავი ტერმინი: *აპელატივი, დენოტაცია, მოტივირება, მოტივირების პრინციპი, მოტივირებული (არამოტივირებული) სახელი, ნომინაციის მოტივი, ნომინაცია, ნომინატორი, ნომინაციის ობიექტი, ნომინაციის სუბიექტი, ნომინაციის პრინციპი, ნომინაციის სიტუაცია, ნომინაციის აქტი, ონომასიოლოგია, ონომატოლოგია, სახელდება, სახელმდებელი სუბიექტი, სახელწოდება, პეიორატივი* და უამრავი სხვა. პ.ცხადაია სამართლიანად აღნიშნავს იმასაც, რომ: „ვითარება მოითხოვს არა მარტო ქართული ონომასტიკური ტერმინოლოგიის გამდიდრებას, არამედ უკვე გამოყენებულის დაზუსტება-დახვეწასაც. **ტრადიციის ძალით** *„ონომასტიკა"* ჯერ კიდევ გამოიყენება *„ანთროპონიმიის“* მნიშვნელობით, ხოლო *„ტოპონიმია“* და *"ტოპონიმიკა"* სინონიმებად ითვლება. ეს უზუსტობა აისახა ”რუსულ-ქართული ლექსიკონის” ბოლო გამოცემაშიც /“топонимика“ იგივეა, რაც топонимия”/ (ცხადაია, 1988: 9).

თვალში საცემია ტერმინების: *„ონომატოლოგია“ - „ონომასიოლოგია“* და *„ონომატოლოგია“ — „ონომასტიკა“* ერთმანეთში აღრევაც. ასე მაგალითად, ალ. ღლონტის სიტყვებით, **„ონომატოლოგია ანუ ონომასტიკა** - ლექსიკოლოგიის ნაწილია, რომელიც სწავლობს საკუთარ სახელთა (ადამიანთა, ტომთა, ადგილთა) სახელებს (ღლონტი, 1988: 157). მაშასადამე, ის ამ **ტერმინებს აიგივებს ერთმანეთთან.** ანალოგიურია ა. მატვეევის[1] პოზიციაც, რომლის შესახებაც ე. ბერეზოვიჩი წერს:

[1] ავტორი მონოგრაფიისა: „Ономатология“. Москва: Наука, 2006

„Обозревая употребление указанных терминов в отечественной и международной традиции, А. К. Матвеев предлагает использование термина ***ономатология*** в значении ***'наука о собственных именах.*** (Березович, 2007: 318). ონომასიოლოგიასა და ონომატოლოგიას ერთმანეთთან აიგივებს ნ. პოდოლსკაიაც: **„Ономасиология (ономатология) -** Наука об обозначении, назывании, номинации **аппелятивной и онимической"** (Подольская, 1988: 95). უფრო შორს მიდის პ. ცხადაია: **„ონომატოლოგია** - 1. იგივეა, რაც ***ონომასიოლოგია,*** 2. იგივეა, რაც ***ონომასტიკა*** (ცხადაია, 1988: 86).

ვერც იმას ავუვლით გვერდს, რომ არცერთ ლექსიკონში ტერმინები *„ონომასიოლოგიური ტერმინი", „ონომასიოლოგიური ტერმინოლოგია"* არათუ განმარტებული, **არამედ საერთოდ ნახსენებიც კი არ არის.** უფრო მეტიც, მათში საეთოდ არ არის ნახსენები მსაზღვრელი კომპონენტი *„ონომასიოლოგიური",* რომელიც სამეცნიერო სივრცეში აქტიურ მიმოქცევაშია. მეორე მხრივ, ლექსიკონში არის უამრავი ტერმინი-შესიტყვება მსაზღვრელი კომპონენტით *„ონომასტიკური".* ისინი შემდეგი სახით არის განმარტებული:

- ***ონომასტიკური ტერმინი*** – სიტყვა ან შესიტყვება, რომელიც ზუსტად აღნიშნავს **ონომასტიკის** გარკვეულ ცნებას. მაგ. *ონიმი, ტოპონიმი, ანთროპონიმი, დეონიმიზაცია* და ა.შ.
- ***ონომასტიკური ტერმინოლოგია*** - ონომასტიკურ ტერმინთა ერთობლიობა და სხვა.

დაბოლოს: არც ქართულ და არც უცხოურ ინტერნეტსივრცეში ონომასიოლოგიურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონები საერთოდ არ იძებნება.

კიდევ უამრავი მაგალითის მოშველიება შეიძლება იმის დასტურად, რომ ონომასიოლოგიის სამეცნიერო ტერმინოლოგიაში ძალიან ბევრი რამ სერიოზულად გადასააზრებელი და დასაზუსტებელია. აღნიშნული პრობლემის მოგვარებისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნებოდა ***„ონომასიოლოგიურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის"*** შექმნა, რითაც ნათლად გამოჩნდება, რომ ონომასიოლოგია და ონომასტიკა ორი ლინგვისტური დისციპლინაა. თითოეულს თავისი კვლევის ობიექტი და ტერმინოლოგიური აპარატი აქვს, შესაბამისად, **მათი ერთმანეთში აღრევა დაუშვებელია.** ონომასტიკა, როგორც ონომასიოლოგიის დარგი, იკვლევს საკუთარ სახელთა დარქმევის ანუ **ონიმური ნომინაციის თეორიას,** მეორე მხრივ კი, ონომასიოლოგია მოიცავს მეორე ქვედარგს, რომელიც იკვლევს ზოგადად სახელდების, ანუ **აპელატიური ნომინაციის თეორიას.** ვინაიდან ამ მეორე ნაწილის აღმნიშვნელი ჰიპონიმური ტერმინი არ გვაქვს, აშკარაა, რომ ეს სიცარიელე მთლიანად შეავსო ტერმინმა **„ონომასტიკური ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი"**, მაშინ როცა ის უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ონომასტიკური (ონიმური) ტერმინებით. თუ ამგვარ ლექსიკონში შევა როგორც ონიმური ნომინაციის თეორიის, ისე აპელატიური ნომინაციის თეორიის ტერმინები, მას უნდა დაერქვას ჰიპერონიმული დასახელება **„ონომასიოლოგიურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი"** და უნდა მოიცავდეს ორ შემადგენელ ნაწილს.

დასკვნა. ამრიგად, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ტერმინი „ონომასიოლოგია" გამოგვეყენებინა ორი მნიშვნელობით: 1. ფართო გაგებით - ენათმეცნიერების დარგი, რომელიც მოიცავს როგორც აპელატიურ, ისე ონიმურ ნომინაციას და 2. ვიწრო გაგებით -ენათმეცნიერების დარგი, რომელიც მოიცავს მხოლოდ აპელატიურ ნომინაციას. შესაბამისად, ტერმინი **„ონომასტიკური ტერმინთა განარტებითი ლექსიკონი"** გაგებული უნდა იყოს როგორც მხოლოდ ონიმური ნომინაციის ტერმინთა ერთობლიობა, ხოლო **„ონომასიოლოგიურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი"** - შედგენილი ორი ნაწილისგან: როგორც ონიმური ნომინაციის და აპელატიური ნომინაციის ტერმინთა ერთობლიობა.

გამოყენებული ლიტერატურა.

ფოჩხუა ბ. - *ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი,* თსუ.1974.

ფოჩხუა ბ. *თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი (ნაკვეთი პირველი).* თბილისი. ,,მეცნიერება“. 1987 წ.

ქეე-ქართული ენა (ენციკლოპედია). თბ. 2008.

ღლონტი *ალ. ქართული ლექსიკოლოგიის* საფუძვლები. თბ.1988.

ცხადაია პ, *ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი.* თბილისი. „თსუ“. 1988.

Березович Е. Л, Матвеев А. К. Ономатология“. М.: Наука, 2006. //Русский язык в научном освещении. 2007. № 1 (13).

Блинова О. И. – Лексическая мотивированность и некоторые проблемы региональной лексикологии – В журн.: Вопросы изучения лексики русских народных говоров. Л., 1972, № 2.

Доржиева Г. С., Щербакова А. А. *Ономасиология vs ономастика: проблемы номинации:* учебное пособие. Улан-Удэ. 2019. https://rusexpert.ru/public/knigi/DorzhSherb2019.pdf

Косых Е. А. *Русская ономасиология: учебное пособие* Барнаул, 2016.

Матвеев А. К. Ономастика и ономатология: терминологический этюд // ВОПРОСЫ ОНОМАСТИКИ. 2005. № 2.

Матвеев А. К. *Ономатология*. М.: Наука, 2006.

Подольская, Н. В. *Словарь русской ономастической терминологии.* М. 1988.

Ягафарова Г. Н. Основные ономасиологические понятия. Вестник Челябинского государственного университета. 2010. № 13 (194). Филология. Искусствоведение. Вып. 43.

https://ka.wiktionary.org/wiki/%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90